12/01/03-03

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 03 იანვარი 2012 წ.

ერთის მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინა მილორავას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს “სუფთა წყალი” წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თამაზ გრიგალაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლიდან“ ერთჯერადი ჭიქების (CPV 39222100) შეძენა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს არა უმეტეს 413.00 (ოთხას ცამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (350.00 ლარი დღგ-ს გარეშე). 100 ცალი ერთჯერადი ჭიქის ღირებულება შეადგენს 1.70 ლარს.

3. შესყიდვის ობიეტის ხარისხი და გარანტია

3.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება მაღალი დონის და ვარგისი იქნება ამ სახის ობიექტის ჩვეულებრივი სარგებლობისთვის.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით..
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ №2, მე-5 სართული.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველის" და "მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. „შემსყიდველის“ მიერ "მიმწოდებლისათვის" ანაზღაურება მოხდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში

6.4. ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. "მიმწოდებელი " ვალდებულია:

7.4.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში "შემსყიდველს" მიაწოდოს ერთჯერადი ჭიქები.

7.5.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. იმ შემთხვევაში თუ „შემსყიდველი“ დააგვიანებს თანხის გადახდას „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო, ასეთ შემთხვევაში „შემსყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.5. „მიმწოდებლის“ მიერ სასმელი წყლის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მას დაერიცხება პირგასამტეხლო მიუწოდებელი წყლის ჭიქების ღირებულების 0.1 % -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დარიცხვა დაიწყება „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველის“ წერილობითი გაფრთხილების მიღების დღიდან.

8.6. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით..

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების შეცვლისას „მიმწოდებელი“ ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“. იმ შემთხვევაში თუ „შემსყიდველი“ არ დაეთანხმება გაზრდილ ღირებულებას, მას უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს კოორდინატორი (ოფისის მენეჯერი).

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	„მიმწოდებელი“ შპს „სუფთა წყალი“
ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2 ტელ. 240-14-20 სს „საქართველოს ბანკი“ ც/ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE61BG0000000168285400 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	ქ. თბილისი, ფალიაშვილის 118 ტელ. 2-439-439 სს „საქართველოს ბანკი“ ც/ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE13BG0000000129766400GEL საიდენტიფიკაციო კოდი 205150655
გენერალური დირექტორი ირინა მილორავა	თამაზი გრიგალაშვილი გენერალური დირექტორი